საკონსულტაციო მომსახურებები (კომუნალური ინფრასტრუქტურა: წყალმომარაგება და წყალარინება)

საბოლოო ვადა: 2020 წლის 31 იანვარი

ქვეყანა: საქართველო

№: BMZ-2014 68 685; 2017 68 332; 2017 70 320 & 2019 70 425)

შესყიდვის №: 504895

პრეკვალიფიკაცია

აღწერა: საერთაშორისო, ღია ტენდერი გარემოსა და ტურიზმის გაუმჯობესების კომუნალური ინფრასტრუქტურისათვის. კომუნალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და განხორციელება, მათ შორის, დეტალური პროექტირება, გატენდერება, ზედამხედველობა და თანმხლები ღონისძიებები

დამკვეთი: შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია"

პროექტის ღონისძიებები: პროგრამის, „კომუნალური ინფრასტრუქტურა გარემოსა და ტურიზმისათვის", მიზანია, ხელი შეუწყოს საქართველოს შერჩეულ მუნიციპალიტეტებს კომუნალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციასა და ეკოლოგიურად სუფთა ახალი ინფრასტრუქტურის მოწყობაში. პროგრამას საფუძვლად უდევს კომპლექსური მიდგომა, რომელიც ითვალისწინებს არა მხოლოდ წყლისა და წყალარინების ინფრასტრუქტურას, არამედ სხვა ინფრასტრუქტურულ ელემენტებს, როგორიცაა ქუჩების ენერგოეფექტური განათება, სანიაღვრე წყლების მართვა, ურბანული მიწათსარგებლობის დაგეგმვა და გზების რეაბილიტაცია, ა.შ. პროგრამა მიზნად ისახავს, რომ გააუმჯობესოს მოსახლეობისათვის კომუნალური მომსახურებების მიწოდება ეკოლოგიური, ენერგოეფექტური, მდგრადი და ეფექტური გზით.

ამგვარად, პროგრამა წვლილს შეიტანს გარემოსა და წყლის რესურსების დაცვაში, ასევე, პროგრამას დადებითი ზეგავლენა ექნება მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე (ტურიზმის განვითარების საშუალებით), ჯანმრთელობასა და სიღარიბის დონის შემცირებაზე.

მოთხოვნილი მომსახურებები: მომსახურებები იყოფა ორ ლოტად. ლოტში 1 შედის სტეფანწმინდა (მცხეთა-მთიანეთის რეგიონი), ლოტში 2 - იმერეთის რეგიონი (თანმხლები ღონისძიებები ორივე ლოტისათვის). დაინტერესებულ კომპანიებს შეუძლია გაიაროს პრეკვალიფიკაცია ერთ-ერთი ან ორივე ლოტისათვის. თუმცა, ორი ლოტი არ გადაეცემა ერთსა და იმავე ფირმას ან ფირმათა გაერთიანებას.

ორივე ლოტში შედის შემდეგი შესასრულებელი სამუშაოები:

- არსებული ინფორმაციის, მათ შორის, გენერალური გეგმებისა და კვლევების, წინათ განხორციელებული და დაგეგმილი ღონისძიებების შესწავლა;
- პროექტის მიზნებისა და ინდიკატორების შესწავლა არსებული ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევების მიხედვით და პროექტის მიზნებისა და ინდიკატორების შემუშავება პროექტის განხორციელებისათვის (შედეგების მატრიცა / ლოგიკური ჩარჩო (logframe). მოსახლეობის ჯანმრთელობისა (ჯანმრთელობაზე ზემოქმედების შეფასება) და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებაში შეტანილი პროექტის წვლილის შეფასება; არსებულ მდგომარეობასთან შედარებით გარემოსა და რესურსების დაცვის, ასევე, დასაქმების დონის, ეკონომიკური ზრდისა და გენდერული ასპექტების გაუმჯობესების შესაძლებლობების აღწერა;
- არსებული ბიუჯეტის ფარგლებში პროექტის საბოლოო ღონისძიებების შესახებ შეთანხმების მიღწევის შემდეგ: ყველა ჩაუტარებელი მოსამზადებელი კვლევისა და სამუშაოს ჩატარება, მაგ.: ჰიდროგეოლოგიური, გეოტექნიკური, გეოდეზიური და სხვა ტიპის კვლევები და აზომვები (საჭიროებისამებრ), ასევე, საველე და ლაბორატორიული კვლევები, საძირკვლის კვლევები, მასალების ტესტირება, მასალების სიძლიერის პარამეტრები და სტაბილურობის ანალიზი, რომლებიც საჭიროა დეტალური პროექტირებისათვის;
- ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების მომზადება, რათა გამოიკვეთოს და შეფასდეს პროექტის შესაძლო დადებითი და უარყოფითი ზეგავლენა ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე. ბუნებრივი და სოციალური გარემოს მართვისა და მონიტორინგის გეგმის მომზადება;
- მშენებლობისას ბუნებრივი და სოციალური გარემოს მართვისა და მონიტორინგის გეგმის, სამუშაო ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების, შრომის პირობების, განსახლების ასპექტების განხორციელებასთან დაკავშირებული აქტივობების განხორციელების შესაძლებლობების შეფასება და ხარვეზების ანალიზი;
- პროექტის ღონისძიებების ყველა ფაზის კონცეპტუალური დამუშავება და შემდგომი დეტალური პროექტირება;
- სატენდერო დოკუმენტების მომზადება (FIDIC სტანდარტები), შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ დახმარება შესყიდვების დროს;
- მშენებლობის ზედამხედველობა და დეფექტების ცნობის პერიოდში დამკვეთის მხარდაჭერა.

მეორე ლოტის საკონსულტაციო მომსახურებები, ასევე, ითვალისწინებს შემდეგ მომსახურებებს თანმხლები ღონისძიებების ფარგლებში პირველი და მეორე საპროექტო ზონებისათვის:

იმისათვის, რომ გაძლიერდეს ინსტიტუციური და პერსონალის კომპეტენცია, შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ მმართველი გუნდი და პერსონალი ბენეფიციარი მუნიციპალიტეტების შერჩეულ პერსონალთან ერთად მიიღებს ტექნიკურ დახმარებასა და ინსტიტუციურ მხარდაჭერას. თანმხლებ ღონისძიებებში შედის: ადმინისტრაციულ, ფინანსურ და ტექნიკურ სფეროებში მხარდაჭერა და ტრენინგი, მოსახლეობის ცნობიერების ამაღლების კამპანიები და TruBudget პლატფორმის გამოყენების სწავლება. ასევე, ტექნიკურ დახმარებაში შედის პროექტის ყველა ნაგებობის (წყლის და წყალარინების გამწმენდები) ოპერირების დროს ტექნიკური დახმარება.

კონსულტანტების პრეკვალიფიკაცია მიმდინარეობს შემდეგ დოკუმენტში მოცემული წესებით: „პარტნიორ ქვეყნებთან ფინანსური თანამშრომლობის ფარგლებში საკონსულტაციო მომსახურებების, სამუშაოების, ნაგებობის, საქონლისა და არასაკონსულტაციო მომსახურებების შესყიდვის სახელმძღვანელო მითითებები“ (იხ. www.kfw-entwicklungsbank.de). თითოეული კონტრაქტი დაიდება დამოუკიდებელ ფირმასთან ან კონსულტანტების ერთობლივ საწარმოსთან. მათ გამოცდილება უნდა ჰქონდეთ რეგიონის კომუნალურ ინფრასტრუქტურაში, წყლისა და წყალარინების სექტორში; მათი წლიური ბრუნვა უნდა იყოს 4.0 მილიონ ევროზე მეტი (ლოტი 1) და 5.0 მილიონ ევროზე მეტი (ლოტი 2).

დამატებითი ინფორმაციისათვის დაუკავშირდით ტენდერის აგენტს:

ბ-ნ დ. განტი

მულინ დ’არეს

ტაიაკი

12120 ცენტრი

საფრანგეთი

ელ. ფოსტ: dwg72003@gmail.com

ტელეფონი: +33 5 65 72 39 59